



KA070119653265115



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N03/55

27 / თებერვალი / 2015 წ.

ქ.თბილისი

#### ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

2015 წლის 9 თებერვალს (რეგისტრაციის თარიღი 10 თებერვალი) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს N2527 ადმინისტრაციული საჩივრით მომართა ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ და მოითხოვა: 1. სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის N2/271 ბრძანების ბათილად ცნობა; 2. სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს სტრატეგიული საკითხების სექციის 2012 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; 3. სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ 2014 წლის 12 დეკემბრის იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც შპს „RMG Gold“-ს მიეცა თანხმობა არქეოლოგიური ობიექტის აღების(დაშლის) შესახებ.

საჩივრის ავტორის განმარტებით, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას უხეშად დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი და 96-ე მუხლის პირველი ნაწილი, ასევე „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15-ე მუხლის პირველი პუნქტი, ვინაიდან სააგენტომ გადაწყვეტილებები მიიღო საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჭერების საფუძველზე და არ იყო უფლებამოსილი თავისი გადაწყვეტილებები დაეთუქნებინა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იყო გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობის საკითხის შესწავლის ეტაპზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2015 წლის 13 თებერვლის N4/13-826 წერილით ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას ეცნობა, რომ ადმინისტრაციული საჩივრიდან არ იკვეთებოდა საჩივრის ავტორის კანონიერი ინტერესი, რომელზეც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს გასაჩივრებული აქტები და ეთხოვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად წარმოედგინათ მოსაზრებები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

2015 წლის 23 თებერვალს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ N3682 განცხადებით წარმოადგინა მოსაზრება, რომლის თანახმად „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის შესაბამისად ა(ა)იპ მწვანე

09/01-90

ალტერნატივა წარმოადგენს დაინტერესებულ პირს და დაუშვებელია მას მოეთხოვოს გარემოსთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებისას ინტერესისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების დასაბუთება.

საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისა და ანალიზის შედეგად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული ქვემოთ მოხმობილ გარემოებათა გამო:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაინტერესებულ მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, ხოლო მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. მოცემული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე საჩივრის ავტორის დაინტერესებულ მხარედ მიჩნევისთვის აუცილებელია არსებობდეს რამდენიმე პირობის ერთობლიობა: 1. უნდა არსებობდეს მხარის რეალური, ფაქტობრივი ინტერესი რომელზეც გავლენას ახდენს გასაჩივრებული აქტები; 2. ინტერესი კანონიერი უნდა იყოს, ანუ უნდა გამომდინარეობდეს კანონმდებლობიდან და იგი კანონმდებლობით უნდა იყოს დაცული. 3. ადმინისტრაციული საჩივრის მიზანს უნდა წარმოადგენდეს დარღვეული უფლების აღდგენა. სამინისტროს მოსაზრებით მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის არცერთი პირობა, რომელთა არსებობაც აუცილებელია საჩივრის ავტორის დაინტერესებულ მხარედ მიჩნევისთვის და არ არსებობს რეალური და ფაქტობრივი ინტერესი, რაც საჩივრის სამივე მოთხოვნასთან მიმართებით ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

„გარემოსდაცვითი საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ორპუნქტის კონვენცია არ წარმოადგენს იურიდიულ საფუძველს საჩივრის ავტორის დაინტერესებულ მხარედ მიჩნევისთვის. აღნიშნული კონვენციის პირველ მუხლში ჩამოყალიბებულია მისი მიღების მიზანი, კერძოდ „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაბამის გარემოში, ამ კონვენციის დებულებების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების გარანტიას“. ორპუნქტის კონვენცია, მისი მიზნიდან გამომდინარე ეხება საზოგადოების ჩართულობას გარემოსდაცვითი, ეკოლოგიური გადაწყვეტილებების მიღებისას, რათა დაცული იყოს მოქალაქეთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ვინაიდან გარემოს დაცვის სფეროში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების ჩართულობა ამაღლებს გადაწყვეტილების მიღებისა და მისი განხორციელების ხარისხს. გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელ და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოს, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, წარმოადგენს არა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, არამედ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული კონვენციით მონესრიგებული ურთიერთობები, მოიცავს ხელისუფლების მიერ მმართველობითი ფუნქციების განხორციელებისას

მოწესრიგებულ სრულიად სხვა, გარემოს დაცვის სფეროს და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ შეიძლება მივაკუთვნოთ ორპუსის კონვენციით რეგულირებად ურთიერთობებს და მოვაქციოთ მის ჩარჩოებში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული საჩივრის პირველი მოთხოვნა, სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის N2/271 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ, სამინისტროში წარმოდგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ერთ თვიანი ვადის დარღვევით. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს ობიექტისთვის ძველის სტატუსის მინიჭების ან სტატუსის მოხსნის შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნებას, კერძოდ, კანონის მე-15-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ობიექტის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანის ან სიიდან ამორიცხვის შესახებ, აგრეთვე ობიექტისათვის ძველის სტატუსის მინიჭების ან მოხსნის შესახებ ძალაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნების მომენტიდან. ობიექტისთვის ძველის სტატუსის მინიჭებისა და სტატუსის მოხსნის უფლებამოსილება დღევანდელი მდგომარეობით სამინისტროს მიერ დელეგირებული აქვს სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს“ სამინისტროსა და სააგენტოს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ გენერალური დირექტორის 2014 წლის 12 დეკემბრის N2/271 ბრძანება, კანონით დადგენილი წესით 2014 წლის 12 დეკემბერს გამოქვეყნდა სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფდა საზოგადოების ფართო მასებისთვის ბრძანების ხელმისაწვდომობასა და საჯაროობას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ვინაიდან სადავო ბრძანება ოფიციალური წესით გამოქვეყნდა 2014 წლის 12 დეკემბერს, ადმინისტრაციული საჩივარი სამინისტროში ნაცვლად 2015 წლის 9 თებერვლისა წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო არაუგვიანეს 2015 წლის 12 იანვარს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „8“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს თუ გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

### გბრძანებ:

1. განუხილველად დარჩეს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას N2527 ადმინისტრაციული საჩივარი.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი



გიორგი ბაქრაძე